პროექტი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2009 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი 2009 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

1. საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე 2009 წლისთვის საშუალო წლიური ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი განისაზღვრა 9 პროცენტის ოდენობით.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2009 წლის განმავლობაში ძირითადად გამოყენებული იქნება მონეტარული პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: რეფინანსირების სესხები (ლიკვიდობის მიწოდება), სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები (ლიკვიდობის ამოღება), მთავრობის ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები (ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა ინსტრუმენტები.

3. 2009 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მოსალოდნელ დინამიკაზე მოქმედ რისკებს ძირითადად წარმოადგენს მსოფლიო ფასების ცვლილება ნავთობსა და ხორბლეულზე, გეოპოლიტიკური რისკების ცვლილება, რეგულირებადი ფასების ცვლილება, საერთაშორისო ბაზარზე ფინანსური კრიზისის შედეგები და სხვა.